ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1590238

ნომერი: AR1261394

თარიღი : 28.10.2014

გაცემის თარიღი : 11.11.2014

გაცნობის თარიღი : 12.11.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მაყაშვილი , I ჩიხი N4 ; ქალაქი თბილისი , მაყაშვილის ქ.2-ე ჩიხი N2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარ ვაშაყმაძე პ/ნ 01018001710
- თბილისი ა.ერისთავ-ხოშტარიას ქ. N 3

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი AR1261394 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში, 01.15.02.038.046 და 01.15.02.038.039 საკადასტრო კოდებზე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე III კლასის ობიექტის მშენებლობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურს AR1260367 23.10.2014წ. ელექტრონული განცხადებით მომართა მოქალაქე ნატო

ალფაიძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, მაყაშვილის ქ. I ჩიხი N4-ში, მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის ნებართვის მიღება. თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად სამსახურის 2014 წლის 29 ოქტომბრის №1565834 გადაწყვეტილებით უარი ეთქვა განმცხადებელს მშენებლობის ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით და განემარტა, რომ 2013 წლის 26 თებერვლის #561690 ბრძანება ბათილად არის ცნობილი ქ. თბილისის მერიის 2013 წლის 27 მაისის #1003 განკარგულებით. ხსენებული განკარგულება გასაჩივრდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში დამკვეთის მიერ და სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით ძალაში დარჩა #1003 განკარგულება. ხოლო სააპელაციო სასამართლომ 2014 წლის 01 აგვისტოს გადაწყვეტილებით უცვლელი დარჩა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება. აღნიშნულ საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე სამსახური ვერ დააკმაყოფილებს მოთხოვნას მშენებლობის ნებართვის გაცემასთნ დაკავშირებით.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების განახლების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

ვინაიდან ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება და თანდართული დოკუმენტაცია სამსახურის მიერ მიღებულია ელექტრონული სახით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ნახვა შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდზე, ამისათვის tas.ge-ზე უნდა აირჩიოთ ინტერაქტიული რუკა და ძიებაში მიუთითოთ თქვენს დაინტერესებაში მყოფი მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი ან/და სამსახურის პასუხის ძიებაში მიუთითოთ #AR1260367 განაცხადის ნომერი.

ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის მეშვეობით, ამისათვის tas.ge-ზე უნდა აირჩიოთ ინტერაქტიული რუკა და ძიებაში მიუთითოთ თქვენს დაინტერესებაში მყოფი მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი.